

სამახსოვრო

საარჩევნო ყუთისა და ხმის ელექტრონული მთვლელი აპარატის ზედამხედველი კომისიის წევრი:

- ▶ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მხოლოდ ერთი საარჩევნო ბიულეტენი აქვს, განუმარტავს ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენის ხმის ელექტრონულ მთვლელ აპარატში მოთავსების წესს;
- ▶ ეხმარება ამომრჩეველს, თუ ამომრჩეველი ვერ ახერხებს სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით ხმის ელექტრონულ მთვლელ აპარატში საარჩევნო ბიულეტენის მოთავსებას;

ყურადღება!

- ✓ საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება.
 - ✓ დამკვირვებელს, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს უფლება აქვს, დააკვირდეს ხმის ელექტრონულ მთვლელ აპარატში სპეციალური ჩარჩო-კონვერტების საშუალებით საარჩევნო ბიულეტენის მოთავსებას.
 - ✓ თუ ხმის ელექტრონული მთვლელი აპარატი უკან დააბრუნებს საარჩევნო ბიულეტენს, იგი ჩაითვლება გაფუჭებულად და ცალკე შეინახება. კომისიის თავმჯდომარის მითითებით რეგისტრატორი უცვლის ამომრჩეველს გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს ახალი საარჩევნო ბიულეტენით, ამომრჩეველი ფარული კენჭისყრის კაბინაში აკეთებს არჩევანს და აღნიშნულ საარჩევნო ბიულეტენს დადგენილი წესით ათავსებს ხმის ელექტრონულ მთვლელ აპარატში.
- ▶ მას შემდეგ, რაც საარჩევნო ბიულეტენი ხმის ელექტრონული მთვლელი აპარატის საშუალებით აღმოჩნდება საარჩევნო ყუთში, მიუთითებს ამომრჩეველს დატოვოს საარჩევნო უბანი.

ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტის დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე ზედამხედველი კომისიის წევრი:

- ▶ თვალყურს ადევნებს ამომრჩევლის მიერ სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საამისოდ განკუთვნილ მაგიდაზე მოთავსებას;
- ▶ უზრუნველყოფს უკვე გამოყენებული სპეციალური ჩარჩო-კონვერტების გადაცემას ამომრჩეველთა რეგისტრატორებისათვის.